

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობის განვითარების სამსახური
დებულება**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ (შემდგომში „მაუწყებლის“) რადიო და ინტერნეტ-მაუწყებლობის განვითარების სამსახურის (შემდგომში „სამსახური“) სტრუქტურას, უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს, აწესრიგებს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
2. სამსახური წარმოადგენს მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულს;
3. სამსახური თავისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს მაუწყებელს და ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე;
4. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს კანონებით, მაუწყებლის დებულებით, მაუწყებლის დირექტორის სამართლებრივი აქტებით, წინამდებარე დებულებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. სამსახურის მიზნები, ამოცანები და ფუნქციები

1. სამსახურის საქმიანობის მიზანია რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა ვითარდებოდეს მუდმივად მაუწყებლის პრიორიტეტებისა და აუდიტორიის ინტერესების შესაბამისად;
2. **სამსახურის ძირითადი ამოცანებია:**
 - ა). რადიოს და ინტერნეტ გადაცემების მუდმივად განვითარების უზრუნველყოფა პრიორიტეტებისა და აუდიტორიის ინტერესების შესაბამისად;
 - ბ). რადიო და ინტერნეტ არხის საეთერო ბადის სწორი დაგეგმვისა და განვითარების უზრუნველყოფა;
 - გ). როგორც რადიოზე ასევე ინტერნეტზე რაც შეიძლება დიდი აუდიტორიის მოზიდვისა და მათი ლოიალურობის ამაღლების უზრუნველყოფა.
3. **სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:**
 - ა). რადიოსა და ინტერნეტში არსებულ გადაცემებში განვითარების შესაძლებლობების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა;
 - ბ). რადიოსა და ინტერნეტში გადაცემების ახალი გადაცემების დამატების წინადადების დაყენება;
 - გ). ვებ-გვერდზე განსათავსებელი კონტენტის და მისი ფორმატის შერჩევა;
 - დ). ვებ-გვერდზე განთავსებულ კონტენტსა და მისი ფორმატის შესახებ განვითარების იდეების ჩამოყალიბება და მათი განხორციელების უზრუნველყოფის დაგეგმვა;
 - ე). რადიოსა და ვებ-გვერდისათვის მაღალი ხარისხის, აუდიტორიის ინტერესებზე მორგებული მექანიკური პროგრამების შექმნისაზე წინადადებების მომზადება;
 - ვ). რადიოსა და ვებ-გვერდისათვის მექანიკური პროგრამების შერჩევის სწორი მეთოდოლოგიებისა და მიდგომების განსაზღვრა;
 - ზ). როგორც რადიოს, ასევე ინტერნეტისათვის ახალი ავტორების გამოვლენა და მათთვის შეთავაზებების მომზადება;
 - თ). ავტორებთან ურთიერთობების განვითარების მოქმედებების დაგეგმვა;
 - ი). წარმოებული გადაცემების მიღებისა და მათთვის მოთხოვნების (პრიორიტეტებთან, აუდიტორიის ინტერესებთან) დაწესება;
 - კ). რადიოს საეთერო ბადის გენერალური გეგმის პროექტის მომზადება;
 - ლ). ვებ-გვერდზე პროგრამებისა და მასალების ატვირთვის გეგმის შედგენა;
 - მ). რადიოსა და ვებ-გვერდის საეთერო ბადეში არსებული ხარვეზების დროული გამოვლენა;
 - ნ). რადიოსა და ვებ-გვერდის ლოიალური აუდიტორიის ქსელის განვითარებაზე მიმართული სამუშაო პროცესების განსაზღვრა;
 - ო). რადიოსა და ვებ-გვერდის პროგრამებისათვის ანონსებისა და პრომოების დამზადებისა და მათი გავრცელების უზრუნველყოფა საშუალებების დადგენა;
 - პ). რადიოსა და ვებ-გვერდის ბრენდის მახასიათებლების პროექტის განსაზღვრა;

მუხლი 3. სამსახურის უფლებამოსილება

- დაკისრებული ფუნქციების და ამოცანების შესრულებისას სამსახური უფლებამოსილია:
- ა). დაადგინოს საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების ჩაბარების გრაფიკი, გადაამოწმოს თითოეული გადაცემის პრიორიტეტებთან, აუდიტორიის ინტერესებთან და ხარისხთან შესაბამისობა. შეადგინოს სპეციალური ანგარიშები არსებული გადაცემების დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ და ყოველ კვარტალურად წარმოადგინოს მმართველთა საბჭოში;
 - ბ). შეისწავლოს არსებული რადიო და ინტერნეტ გადაცემები და ყოველ კვარტალურად მმართველთა საბჭოში წარმოადგინოს ბადის განვითარების შესაძლებლობების და მისი განხორციელების გეგმა;
 - გ). გაუწიოს კოორდინაცია მაღალი ხარისხის, აუდიტორიის ინტერესების შესაბამისი მექანიკური პროგრამების შესყიდვის სამუშაოებს;
 - დ). დროულად გამოავლინოს სამაუწყებლო ბადეში არსებული ხარვეზები და მმართველთა საბჭოს შესთავაზოს რეაგირების ღონისძიებების გეგმა;
 - ე). უზრუნველყოს გადაცემებში გამოვლენილ შეუსაბამობებზე სავტორო და შემოქმედებითი სამსახურის (გადაცემების ავტორების, რედაქტორებისა და პროდიუსერების) დროული ინფორმირება;

- ვ). შეიმუშავოს აუდიტორიასთან მუდმივი უკუკავშირის უზრუნველყოფის გეგმა და უზრუნველყოს უკუკავშირის არხების მოქმედების დაგეგმვა/განხორციელების ზედამხედველობა;
- ზ). გამოავლინოს და შექმნას ლოიალური მაყურებლების სხვადასხვა ჯგუფები;
- თ). დაადგინოს პროგრამებისათვის ანონსებისა ფორმა და გავრცელების არხები;

მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა, ხელმძღვანელობა

სამსახურში დასაქმებულია:

- ა). სამსახურის უფროსი;
- ბ). რადიოს და ვებ-გვერდის განვითარების მენეჯერი;
- გ). რადიოს ბადის განვითარების მენეჯერი;
- დ). რადიოს გადაცემების განვითარების მენეჯერი;
- ე). ვებ-გვერდის კონტენტის განვითარების სპეციალისტი;
- ვ). ვებ-გვერდის ფუნქციონალის განვითარების სპეციალისტი;
- ვ). გადაცემების მიღების სპეციალისტი;

მუხლი 5. სამსახურში დასაქმებული პირების მიერ შესასრულებელი სამუშაოები:

1. სამსახურის უფროსი:

- ა). რადიოსა და ინტერნეტში არსებულ გადაცემებში განვითარების შესაძლებლობების ძიების სამუშაოების ორგანიზება;
- ბ). რადიოსა და ინტერნეტში გადაცემების დამატების შესაძლებლობებისა და იდეების გამოვლენის კოორდინაცია;
- გ). ვებ-გვერდზე განსათავსებელი კონტენტის და მისი ფორმატის სწორად შერჩევის უზრუნველყოფა;
- დ). ვებ-გვერდზე განთავსებულ კონტენტსა და მისი ფორმატის შესახებ იდეების გამოვლენის კოორდინაცია;
- ე). რადიოსა და ვებ-გვერდისათვის მაღალი ხარისხის, აუდიტორიის ინტერესებზე მორგებული მექანიკური პროგრამების შექმნის სამუშაოების კოორდინაცია;
- ვ). როგორც არსებულ, ასევე ახალ ავტორებთან ურთიერთობების განვითარების მოქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების კოორდინაცია;
- ზ). რადიოს საეთერო ბადის გენერალური გეგმის სწორი პროცესითა და მიდგომით შედგენის ზედამხედველობა;
- თ). ვებ-გვერდზე პროგრამებისა და მასალების ატვირთვის სწორი გეგმის შედგენის ზედამხედველობა;
- ი). რადიოსა და ვებ-გვერდზე საეთერო ბადის დაგეგმვის მეთოდებისა და მიდგომების მუდმივი განვითარების უზრუნველყოფა;
- კ). რადიოსა და ვებ-გვერდის საეთერო ბადეში არსებული ხარვეზების დროული გამოვლენისა და რეაგირების ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;
- ლ). ვებ-გვერდის ფუნქციონალის განვითარების შესაძლებლობების გამოვლენისა და მათი განხორციელების სამუშაოების მართვა;
- მ). რადიოსა და ვებ-გვერდზე განთავსებული პროგრამების რეიტინგების შეფასების (კომენტარებით, გაზიარებებით, აუდიტორიის გამოკითხვით) და რეიტინგების შესაბამისად ბადეში ცვლილებების შეტანის პროექტის მომზადების უზრუნველყოფა;
- ნ). რადიოსა და ვებ-გვერდის ლოიალური აუდიტორიის გამოვლენისა და მათთან ურთიერთობების განვითარების ღონისძიებებისა და აქტივობების ორგანიზება;
- ო). რადიოსა და ვებ-გვერდის პროგრამებისათვის ანონსებისა და პრომოების დამზადებისა და მათი გავრცელების უზრუნველყოფის კოორდინაცია;
- პ). რადიოსა და ვებ-გვერდის ბრენდის მახასიათებლების განსაზღვრაში მონაწილეობა და მათი მუდმივი განვითარებისათვის გეგმების შედგენის ზედამხედველობა;
- ჟ). რადიოსა და ინტერნეტის ცნობადობის ამაღლებისა და ბრენდის განვითარების ღონისძიებებისა და აქტივობების განხორციელების კოორდინაცია;
- რ). მაუწყებლის დირექტორის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

2. რადიოს და ვებ-გვერდის განვითარების მენეჯერი:

- ა). თითოეული რადიო და ინტერნეტ პროგრამის (როგორც საავტორო გადაცემების, ასევე მექანიკური მასალის) პრომოუშენის აუთენტიკური პოტენციალის შეფასება და საჭიროებების გამოვლენა;
- ბ). თითოეული პროგრამისათვის კვარტლის პრომოუშენის გეგმის შედგენა - პრომოებისა და ანონსების რაოდენობებისა და ხანგრძლივობის პროექტის შედგენა;
- გ). რადიოს დაფარვის ზონების განვითარების პროექტების მომზადება და წარდგენა საბჭოზე;
- დ). საუკეთესო პრაქტიკებისა და კონკურენტი რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობების მიერ დამზადებული პრომოებისა და ანონსების მოძიება და ანალიზი;
- ე). მაღალი ხარისხის პრომოებისა და ანონსების დამზადების კოორდინაცია ავტორებისა და ჩართულ პირების მონაწილეობით;
- ვ). პრომოებისა და ანონსების მომზადების მიდგომებისა და მეთოდოლოგიის მუდმივი დახვეწა/განვითარება;
- ზ). წამყვანების, გადაცემების პოპულარიზაციის შესაძლებლობების გამოვლენა, იდეების მოფიქრება და დაყენება საბჭოზე;
- თ). რადიოსა და ვებ-გვერდის ბრენდის მახასიათებლების განსაზღვრა (ლოგო, დიზაინი, დასახელება...) და მათი განვითარების იდეების დაყენება საბჭოზე;
- ი). დამტკიცებული ბრენდის მახასიათებლების შესახებ თანამშრომლების ინფორმირება;
- კ). რადიოსა და ვებ-გვერდის ბრენდის განვითარების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების მაღალი ხარისხით განხორციელება;
- ლ). ბრენდისათვის საზიანო ინფორმაციის დროული გამოვლენა და შესაბამისი რეაგირების გზების დასახვა/განხორციელების მონიტორინგი;
- მ). დამზადებული პრომოებისა და ანონსების მაქსიმალური გავრცელება ტელევიზიაში, რადიოში და ინტერნეტში;
- ნ). რადიოსა და ვებ-გვერდის ბრენდის განვითარების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების, აქტივობების მაქსიმალური გაშუქების უზრუნველყოფა სხვადასხვა არხებში;
- ო). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;
- პ). სამსახურის უფროსის არყოფნის ანდა უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოვალეობის შესრულება;

3. რადიოს ბადის განვითარების მენეჯერი:

- ა). პროექტის მომზადება მექანიკური პროგრამების ტიპსა და მათ პროცენტული მაჩვენებლებზე;
- ბ). მექანიკური პროგრამების შერჩევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და მისი განვითარება;
- გ). მექანიკური პროგრამების საუკეთესო ალტერნატივების გამოვლენა არსებული მეთოდოლოგიით და სიის შედგენა;
- დ). სიის მიხედვით შესაძენი მექანიკური პროგრამებისათვის დეტალური პირობების (ხარისხი, მახასიათებლები, ხანგრძლივობა) გაწერა შესყიდვების ჯგუფისათვის;
- ე). გამოცხადებულ ტენდერზე შემოსულ შემოთავაზებების განხილვა, მათი ხარისხობრივი და ფინანსური ანალიზი და საუკეთესო ალტერნატივის შერჩევა;
- ვ). მექანიკური პროგრამების დროული შესყიდვის უზრუნველყოფაზე წინადადებების მომზადება;
- ზ). შესყიდული მექანიკური პროგრამების ნახვა, ხარვეზების მაქსიმალური აღმოჩენა და რეაგირების უზრუნველყოფა;
- თ). რადიოს საეთერო დროის ანალიზი - ეთერის ფრაგმენტაცია გარკვეულ დროის მონაკვეთებზე (მაგ.: ყოველი 30წთ) და ამ მონაკვეთებში რადიოსთან მოხვედრილი აუდიტორიის ინტერესების დადგენის უზრუნველყოფა;
- ი). კონკრეტულ დროის მონაკვეთში რადიოსთან მოხვედრილი აუდიტორიის უმრავლესობის ინტერესების მიხედვით საეთერო ბადის გენერალური გეგმის პროექტის შედგენა;
- კ). საეთერო ბადის გენერალური გეგმების გატანა აუდიტორიის განვითარების საბჭოზე განსახილველად;
- ლ). დამტკიცებული საეთერო ბადის გენერალური გეგმის მიხედვით პროგრამების მახასიათებლებზე (სფერო, ჟანრი, ხანგრძლივობა..) შესაბამისი ამოცანის დასმა;
- მ). კონკურენტი კომპანიების და საუკეთესო პრაქტიკების საეთერო ბადის ანალიზი და საჭირო ცვლილებების შეტანა გენერალურ გეგმაში;
- ნ). რადიოს საეთერო ბადეში გამოვლენილი ხარვეზებისა და რეიტინგების მიხედვით ბადეში გადაცემების ჩასმა/ამოღებაზე წინადადებების დაყენება საბჭოზე;
- ო). რადიოს საეთერო ბადის დაგეგმვის მიდგომებისა და მეთოდების განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა და იდეების დაყენება საბჭოზე;
- პ). რადიოს საეთერო ბადის განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- ჟ). რადიოს გადაცემების, მექანიკური პროგრამების და რეკლამების რადიოს საეთერო ბადეში ყოველდღიურად სწორად განაწილებასა და ბადის სრულ შედგენაში მონაწილეობა;
- რ). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

4. რადიოს გადაცემების განვითარების მენეჯერი:

- ა). არსებული რადიო გადაცემების პერიოდულად მონიტორინგი განვითარების შესაძლებლობების გამოსავლენად;
- ბ). რადიოს ავტორების, რედაქტორებისა და თანამშრომლების გამოკითხვა თვეში ერთხელ გადაცემების განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
- გ). რადიოს გადაცემების განვითარების საჭიროებებსა და შესაძლებლობებთან დაკავშირებით ლოიალური მაყურებლების პერიოდულ გამოკითხვას ორგანიზება (რა მოსწონთ, რას დახვეწდნენ, რა ახალ გადაცემას ისურვებდნენ);
- დ). არსებულ რადიო გადაცემებში განვითარების იდეების გენერირება რუბრიკებთან, ფორმატთან, წამყვანებთან, ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და იდეების დაყენება საბჭოზე;
- ე). ახალი რადიო გადაცემების დამატებისათვის იდეების გამოსავლენად შიდა შეხვედრები პერიოდულად;
- ვ). ახალი რადიო გადაცემების დამატებისათვის კონკურენტი მაუწყებლობებისა და საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენა და ანალიზი;
- ზ). ახალი რადიო გადაცემების დამატების საუკეთესო იდეების შერჩევა და წარდგენა საბჭოზე;
- თ). ახალი რადიოს გადაცემების დამატების საუკეთესო იდეებზე კონცეფციების დამუშავება/მომზადება;
- ი). საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების რადიოს ეთერში გაშვების პერიოდულობის განსაზღვრა;
- კ). პოტენციური ავტორების სიის მომზადება (სფეროების, დარგების განსაზღვრა, სადაც შეიძლება იყვნენ პოტენციური ავტორები და მათი გამოვლენა; უნივერსიტეტებში ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა, რომლებიც შესაძლებელია პოტენციურ ავტორებად იქნენ; სააგენტოების მოძიება, რომლებიც ამზადებენ საავტორო გადაცემებს და მათი ავტორების გამოვლენა; წარსულში საავტორო გადაცემების მქონე პირების გამოვლენა; დაკავშირებული მედია დარგების, გაზეთების, რადიოს მუდმივი მონიტორინგი და საინტერესო სტატიების ავტორების გამოვლენა);
- ლ). პოტენციური ავტორების სიიდან სასურველი ავტორების შერჩევა და წარდგენა საბჭოზე;
- მ). ახალი ავტორების მოზიდვის წინადადებების მომზადება, მათთან კომუნიკაცია და საჭიროების შემთხვევაში შეთავაზებების კორექტირება ავტორების მოთხოვნებიდან გამომდინარე;
- ნ). ავტორების ძიების მეთოდებისა და არხების განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა და იდეების დაყენება საბჭოზე;
- ო). რადიოს საეთერო ბადის პროექტის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა;
- პ). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

5. ვებ-გვერდის კონტენტის განვითარების სპეციალისტი:

- ა). ინტერნეტ მაუწყებლობის მომხმარებლების გამოვლენის მეთოდებისა და მიდგომების განვითარებაზე წინადადებების მომზადება;
- ბ). მომხმარებლებთან დაკავშირების გზების შერჩევა და კომუნიკაცია მათი ინტერესების დასადგენად;
- გ). კონკურენტი ვებ-გვერდებისა და საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენა და ანალიზი (რა ინფორმაციას დებენ ვებ-გვერდებზე და რა ფორმატით);
- დ). ვებ-გვერდზე განსათავსებელი კონტენტის შესახებ იდეების მოფიქრება და წარდგენა საბჭოზე;
- ე). საუკეთესო იდეებზე კონცეფციების მომზადება (ხანგრძლივობა, ფორმატი, ხარჯები, მიზნობრივი სეგმენტი, პერიოდულობა..);
- ვ). ვებ-გვერდზე განსათავსებელი კონტენტისათვის შესაბამისი ბექდური, აუდიო, ფოტო ან ვიდეო ფორმატის შერჩევა;
- ზ). ვებ-გვერდზე განსათავსებული კონტენტის პერიოდული შემოწმება, მისი განვითარების შესაძლებლობების გამოსავლენად;
- თ). თანამშრომლების პერიოდული გამოკითხვა ვებ-გვერდზე განსათავსებული კონტენტის და მისი ფორმატის განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

- ი). ვებ-გვერდზე განთავსებული კონტენტისა და მისი ფორმატის განვითარების იდეების მოფიქრება და წარდგენა საბჭოზე;
- კ). ვებ-გვერდის საეთერო დღის ანალიზი - კონკრეტულ დროის მონაკვეთში ვებ-გვერდზე მოხვედრილი მომხარებლების ინტერესების დადგენა;
- ლ). მომხარებლების ინტერესების მიხედვით ვებ-გვერდზე ასატვირთი პროგრამებისა და მასალების თანმიმდევრობის განსაზღვრა;
- მ). ვებ-გვერდზე არსებულ გადაცემებში განვითარების იდეების გენერირება რუბრიკებთან, ფორმატთან, წამყვანებთან, ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და იდეების დაყენება საბჭოზე;
- ნ). ვებ-გვერდზე ახალი პროდუქტების დამატებასთან დაკავშირებით შიდა შეხვედრების მოწყობა, საუკეთესო იდეების შერჩევა და მათი წარდგენა საბჭოზე;
- ო). კონტენტის განვითარების ღონისძიებების ორგანიზების უზრუნველყოფა;
- პ). ვებ-გვერდისათვის ავტორების, ბლოგერების მოძიება და მათთვის შეთავაზებების მომზადება;
- ჟ). ავტორებისთვის, ბლოგერებისათვის შესაბამისი დავალებების განსაზღვრა და მიმართულებების მიცემა;
- რ). მოზიდულ ავტორებსა და ბლოგერებთან ურთიერთობების განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
- ს). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

6. ვებ-გვერდის ფუნქციონალის განვითარების სპეციალისტი:

- ა). ვებ-გვერდის ფუნქციონალის პერიოდული შემოწმება არსებული ხარვეზების დროულად გამოსავლენად;
- ბ). ვებ-გვერდის ფუნქციონალში სხვადასხვა ფუნქციების დამატების საჭიროებების გამოვლენა (მაგ.: ძიების, გაიზარების, კომენტარების..) თანამშრომლების პერიოდული გამოკითხვით, ათი პერსონალის გამოკითხვით და სხვა არხებით;
- გ). ვებ-გვერდის ფუნქციონალთან დაკავშირებით მომხარებლების გამოკითხვის უზრუნველყოფა (რა მოსწონთ, რა უქმნით დისკომფორტს, რის დამატებას ისურვებდნენ);
- დ). ვებ-გვერდის ფუნქციონალის დიზაინის განვითარების შესაძლებლობების შესახებ თანამშრომლების, IT პერსონალის გამოკითხვა პერიოდულად;
- ე). კონკურენტი ვებ-გვერდების ფუნქციონალისა და დიზაინის პერიოდული მონიტორინგი და ანალიზი;
- ვ). საუკეთესო პრაქტიკების გამოვლენა ფუნქციონალთან და ვებ-გვერდის დიზაინთან მიმართებაში და ანალიზი;
- ზ). ვებ-გვერდის პერიოდული ტექნიკური შემოწმება ტენიკური განახლების საჭიროებებისა და შესაძლებლობების გამოსავლენად;
- თ). ფუნქციონალის და დიზაინის განვითარების შესახებ იდეების შეგროვება, საუკეთესო იდეების შერჩევა და წარდგენა საბჭოზე;
- ი). საბჭოს მიერ დამტკიცებული იდეებზე სამუშაოების დაგეგმვა (განსაზღვრა ხარჯების, საჭირო პოტენციალის, რესურსების, მოსალოდნელი შედეგების, ვადები, პასუხისმგებელი პირის..);
- კ). იდეების მიხედვით პროექტების მომზადება და მათ განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებების ორგანიზება;
- ლ). საპროექტო სამუშაოების მაღალი ხარისხით ორგანიზება და პრობლემების წამოჭრის შემთხვევაში მათი დროული გადაწყვეტა;
- მ). საჭიროების შემთხვევაში აუტოსორს კომპანიასთან თანამშრომლობა ფუნქციონალის განვითარების ღონისძიებების ხარისხიანი ორგანიზებისათვის;
- ნ). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

7. გადაცემების მიღების სპეციალისტი:

- ა). თითოეული გადაცემის შინაარსთან (პრიორიტეტები, შინაარსობრივი ხარისხი, თემები, რუბრიკები..) დაკავშირებული ზუსტ მოთხოვნებზე პროექტის მომზადება;
- ბ). თითოეული გადაცემის ფორმატთან, მომზადების წესებთან (აუდიო, ვიდეო, ტექნიკური ხარისხი, სტუდია, გადასადები გარემო..) დაკავშირებული დადგენილი მოთხოვნების შესრულების მონიტორინგი;
- გ). განსაზღვრული მოთხოვნების, წესებისა და კრიტერიუმების კომუნიკაცია ავტორებთან, რედაქტორებსა და პროდიუსერებთან;
- დ). სამოქმედო გეგმის მომზადება რომელ გადაცემას რა დროს ჩაიბარებს და როდის ნახავს;
- ე). შედგენილი სამოქმედო გეგმის მიხედვით მომზადებული გადაცემების მორგოვნება;
- ვ). შედგენილი სამოქმედო გეგმის მიხედვით თითოეული მომზადებული გადაცემის ნახვა მათი მოთხოვნებთან შეუსაბამობების გამოსავლენად;
- ზ). გადაცემაში შეუსაბამობების, ხარვეზების სიის ჩამონათვალის მომზადება;
- თ). გადაცემებში გამოვლენილ შეუსაბამობებზე გადაცემების ავტორების, რედაქტორებისა და პროდიუსერების დროული ინფორმირება;
- ი). გადაცემებში გამოვლენილი ხარვეზებისა და შეუსაბამობების გამოსწორების მონიტორინგი;
- კ). დადგენილი მოთხოვნების, წესებისა და კრიტერიუმების პერიოდული გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანაზე პროექტის მომზადება;
- ლ). სამსახურის უფროსის სამსახურებრივ მითითებების შესრულება;

მუხლი 6. განსაკუთრებული დებულებები

1. სამსახურში მუდმივ ან არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად დადგენილი წესის საფუძველზე შეიძლება მიღებულ იქნენ სხვა პირები;
2. სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მაუწყებლის დირექტორი. სამსახურის უფროსის არ ყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში სამსახურს ხელმძღვანელობს რადიოს და ვების ბრენდის განვითარების მენეჯერი;
3. სამსახურში კონკრეტული მენეჯერის ან სპეციალისტის, პოზიციაზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში, სამსახური უფლებამოსილი არ არის უარი განაცხადოს ამ დებულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე;
4. ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახურის უფროსი შესასრულებელი სამუშაოებს ანაწილებს სამსახურში დასაქმებულ სხვა პირებზე ანდა ასრულებს უშუალოდ. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება ერთი სუბიექტისთვის არ შეიძლება აღემატებოდეს სამ თვეს;
5. სამსახურში დასაქმებული ყველა პირი ადგენს და სამსახურის უფროსს წარუდგენს ყოველ კვარტალურ ანგარიშს, საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ;

6. სამსახურში დასაქმებულმა პირებმა თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობის ანდა სამსახურში არსებული სხვა ხარვეზების შესახებ წერილობითი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ მაუწყებლის დირექტორს, გონივრულ ვადაში;
7. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია მაუწყებლის დირექტორის წინაშე. სამსახურის უფროსი პასუხისმეგებელია სამსახურში დასაქმებული პირების მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებაზე;
8. სამსახური პერიოდულად მაგრამ არანაკლებ ექვს თვეში ერთისა ახორციელებს სამსახურის საქმიანობის ანალიზს და საქმიანობაში ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში საბჭოს წარუდგენს მისი გამოსწორების გეგმას;

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

1. ამ დებულებით გათვალისწინებული „საბჭო“ არის მაუწყებლის კოლეგიური ორგანო „მმართველი საბჭო“;
2. სამსახურის ყველა თანამშრომელი ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე დებულება;
3. სამსახურის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.